საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-716

26/07/2019

ქ. თბილისი

ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. აგარაში შპს ,,არეა დეველოპმენტი“-ს სასარგებლო წიაღისეულის (ქვა-ღორღი) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს ,,არეა დეველოპმენტის“ მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. აგარაში სასარგებლო წიაღისეულის (ქვა-ღორღის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, შპს ,,არეა დეველოპმენტი“ გეგმავს ფ.პ ვახტანგ ინდუაშვილის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, ქვა-ღორღის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობას. საწარმოს მიერ დაკავებული ტერიტორია ის ფართობი შეადგენს 10 000 მ^2 (GPS კოორდინატები - X=345682; Y=4619041); (ს/კ 62.05.57.320).

საწარმო განთავსებულია ხაშური-ახალციხის ავტომაგისტრალიდან 220 მეტრში. საწარმოს ოთხივე მხარეს მდებარეობს სასოფლო-სამეურნეო მიწები. მდინარე მტკვარი მოედინება აღმოსავლეთით, 80 მეტრში. უახლოესი დასახლებული პუნქტი განთავსებულია საწარმოს ჩრდილოეთით, 850 მეტრში. აღნიშნულ ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს სხვა ობიექტები არ ფიქსირდება.

საწარმო იმუშავებს 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით, წელიწადში 310 დღე.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, ტერიტორიაზე დაგეგმილია 6 სხვადასხვა დანიშნულების აგრეგატის მოწყობა. გათვალისწინებულია ინერტული მასალების 2 აგრეგატი, ასევე ღორღის 2 საწყობი და ქვიშის 2 საწყობი. საწყობები მოეწყობა ღია ცის ქვეშ.

საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში დაგეგმილია საათში 50 მ^3 ქვა-ღორღის გადამუშავება, რაც წელიწადში შეადგენს - 125 000 მ^3-ს. ამ რაოდენობის ნედლეულის გადამუშავების შემთხვევაში ატმოსფერულ ჰაერში საწარმოს წლიური გაფრქვევები იქნება 13,86 ტონა მტვერი. საწარმოო პროცესში ატმოსფეროში გაიფრქვევა 1,11 გრ/წმ ოდენობით მტვერი.

საწარმოო დანიშნულების წყლის გამოყენება იგეგმება წყალმომარაგების ორი წყაროდან, კერძოდ, მდინარე მტკვრიდან და ჭაბურღილიდან. გამოყენებული წყალი სალექარის გავლით ჩაეშვება ისევ მდინარე მტკვარში. ფეკალური წყალი შეგროვდება საასენიზაციო ორმოში, რომლის გატანა რეგულარულად მოხდება ავტოტრანსპორტით.

ობიექტის განთავსების ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს არ აღინიშნება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ტყით დაფარული ტერიტორია და წითელი ნუსხის სახეობები.

საწარმოო დანადგარების მუშაობის პროცესში წარმოიქმნება ხმაური, თუმცა ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი მოსახლეობიდან დაცილების მანძილის გათვალისწინებით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, მოწყობა-ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელია როგორც არასახიფათო, ასევე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. საწარმოო პროცესში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენებია: კბილანური გადაცემის კოლოფის ზეთები, ჰიდრავლიკური ზეთები, მილები და ვერცხლისწყლის შემცველი ნარჩენები. სახიფათო ნარჩენები შეგროვდება სპეციალურ კასრებში და დროებით განთავსდება საწარმოს ტერიტორიაზე, შემდეგ კი ნარჩენების გატანა მოხდება შესაბამისი უფლებამოსილი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე.

მუნიციპალურ ნარჩენებს, ტერიტორიიდან გაიტანს სანიტარული დასუფთავების სამსახური.

ტერიტორიაზე არ არსებობს რაიმე სახის მცენარეული საფარი, შესაბამისად მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. საწარმოს განთავსების ტერიტორია არ განეკუთვნება კულტურული მემკვიდრეობის, ჭარბტენიან, ტყით დაფარულ და დაცულ ტერიტორიებს, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე არ არსებობს წითელი ნუსხის სახეობები.

ტექნოლოგიური პროცესის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასარგებლო წიაღისეულის (ქვა-ღორღი) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია არ გამოიწვევს გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფ. აგარაში შპს ,,არეა დეველოპმენტის“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვა-ღორღი) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია“ **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს ,,არეა დეველოპმენტი“ ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,არეა დეველოპმენტს“;

4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,არეა დეველოპმენტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ან/და ახალციხის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი